შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
უცხოური ენების ჯგუფი

როგორ მოვემზადოთ მასწავლებლის გამოცდისათვის

ინგლისური ენა

საგამოცდო კრებული წარმოადგენს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და გავრცელება (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით), აგრეთვე იკრძალება კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისთვის.

სარჩევი

შესავალი 3
საგამოცდო პროგრამა 4
ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება 6
რეკომენდაციები 7
მოსმენის ნაწილი 7
კითხვის ნაწილი 8
წერის ნაწილი 9
ლაპარაკის ნაწილი 10
მინიმალური ზღვრები და გამსვლელი ქულები 12
საგამოცდო ტესტის ნიმუში 13
ლაპარაკის დავალების ნიმუში 22
შეფასების სქემა წერილისთვის (მე-7 დავალება) 23
შეფასების სქემა თემისთვის (მე-8 დავალება) 24
შეფასების სქემა ლაპარაკის ნაწილისთვის 25
შეცდომების ტიპების ჩამონათვალი 26
პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია 27
ტესტის ნიმუშის პასუხები 28

შესავალი

კრებულის დანიშნულებაა დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგებს და მაძიებლებს გააცნოს საგნობრივი გამოცდის მოთხოვნები და საგამოცდო პროგრამა. კრებულში ასევე მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები მოსმენის, კითხვის, წერის და ლაპარაკის დავალებებთან დაკავშირებით. მოცემულია ასევე ტესტის ერთი ნიმუში და რეკომედაციები პასუხების ფურცლის სწორად შევსებასთან დაკავშირებით.

საგამოცდო დავალებების სირთულის დონე და მოთხოვნები შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან.

საგამოცდო ტესტის ფორმატი და ცალკეული დავალებების ტიპები გამოიცადა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. აპრობაციების შედეგების ანალიზისა და საგნობრივ ექსპერტებთან ინტენსიური მუშაობის შედეგად შემუშავდა ტესტის არსებული ფორმატი.

ვფიქრობთ, ამ კრებულში გამოქვეყნებული მასალა სათანადო დახმარებას გაუწევს ინგლისური ენის პედაგოგებს საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში.

საგამოცდო პროგრამა

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის

გამოცდაზე მოწმდება ინგლისური ენის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა, კერძოდ, მისი ენობრივი კომპეტენცია ევროსაბჭოს მიერ განსაზღვრული **B2 (საშუალოზე მაღალი) ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში.**

მასწავლებელს უნდა შეეძლოს:

- **წაიკითხოს** შესაბამისი სირთულის ინფორმაციული, შემეცნებითი ან პროფესიული შინაარსის ტექსტი და გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ასევე ფაქტობრივი ინფორმაცია. გამოიყენოს დავალების შესაბამისი კითხვის სტრატეგიები.
- **მოისმინოს** შესაბამისი სირთულის ტექსტი (გაბმული ტექსტი ან ინტერვიუ). გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ასევე ფაქტობრივი ინფორმაცია. გამოიყენოს დავალების შესაბამისი მოსმენის სტრატეგიები.
- **დაწეროს** ნებისმიერი სახის საქმიანი წერილი და თხზულება. მკაფიოდ, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად გადმოსცეს საკუთარი აზრი მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით. ზუსტად და თანმიმდევრულად დაიცვას დავალების მოთხოვნები. წერისას გამოხატოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია, მოიყვანოს არგუმენტები. გამოიყენოს მოთხოვნის შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურები.
- **ილაპარაკოს** ბუნებრივად, დაუბრკოლებლად და არგუმენტირებულად მოცემული თემატიკის გარშემო. საუბრისას გამოხატოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია. გამოიყენოს მოთხოვნის შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურები.

გრამატიკული საკითხების ჩამონათვალი

არსებითი სახელი	• კონკრეტული, აბსტრაქტული • თვლადი, უთვლადი • ბრუნება; რიცხვი
არტიკლი	• განსაზღვრული, განუსაზღვრელი, ნულოვანი
ზედსართავი სახელი	• შედარების ხარისხები
რიცხვითი სახელი	• რაოდენობითი, რიგობითი
ნაცვალსახელი	• პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი, კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელი, უკუქცევითი, ემფატური
ზმნა	• წესიერი, არაწესიერი; პირიანი, უპირო • სრულმნიშვნელოვანი, დამხმარე, მაკავშირებელი, გარდამავალი, გარდაუვალი, მოდალური, ფრაზული • გვარი; კილო • დროის ფორმები მოქმედებით გვარში: Present, Past, Future Simple; Future Simple in the Past Present, Past, Future Continuous; Future Continuous in the Past Present, Past, Future Perfect; Present, Past Perfect Continuous • დროის ფორმები ვნებით გვარში: Present, Past, Future Simple Present, Past, Future Continuous Present, Past Perfect
ზმნიზედა	• ზმნიზედის სახეები; შედარების ხარისხები
წინდებული	• წინდებულის სახეები
კავშირი	• მაერთებელი, მაქვემდებარებელი; მაკავშირებელი სიტყვები
წინადადება	• მარტივი; რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი • მტკიცებითი, კითხვითი, უარყოფითი; თხრობითი, ბრძანებითი • პირობითი წინადადებები (Conditional I, II, III) • წინადადების წევრები; წინადადების წყობა
პირდაპირი და ირიბი თქმა	• დროთა თანმიმდევრობა
სიტყვათწარმოება (დერივატივები)	• სუფიქსები, პრეფიქსები
ფონეტიკა	• ბგერების და ბგერათშეთანხმებების წარმოთქმა; • სიტყვის და წინადადების მახვილი
ორთოგრაფია/პუნქტუაცია	• მართლწერის წესები

ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

ტესტი შედგება 9 დავალებისაგან, ლაპარაკის დავალების ჩათვლით. ტესტი ამოწმებს ოთხივე ენობრივ უნარს: მოსმენას, კითხვას, წერას და ლაპარაკს. **ტესტის მაქსიმალური ქულაა 90.** ქვემოთ მოცემულია ტესტის ზოგადი სტრუქტურა: დავალებების და საკითხების რაოდენობა, ინსტრუქციები თითოეული დავალებისთვის და ქულათა განაწილება დავალებების მიხედვით.

დავალება	**დავალების ინსტრუქცია**	**საკითხი**	**ქულა**	**ქულათა მაქსიმუმი**
დავალება 1 მოსმენა	მოუსმინეთ ტექსტს და მასში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად მოცემული 3 შესაძლო პასუხიდან აირჩიეთ ერთი.	12	1	12
დავალება 2 მოსმენა	მოუსმინეთ ჩანაწერს და მოსაუბრეებს მიუსადაგეთ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრება.	4	1	4
დავალება 3 კითხვა	წაიკითხეთ წინადადებები და განსაზღვრეთ სწორია ისინი, თუ მცდარი. მონიშნეთ ის აბზაცი, (A-F), რომელშიც წინადადებების სისწორე/სიმცდარის დამადასტურებელი ინფორმაციაა მოცემული.	10	1	10
დავალება 4 კითხვა	წინადადებების ჩამონათვალიდან აირჩიეთ შესაფერისი წინადადება და ჩასვით ტექსტში სათანადო ადგილას.	6	1	6
დავალება 5 სიტყვათწარმოება	წაიკითხეთ ტექსტი და გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით სიტყვები სწორ ფორმაში.	10	1	10
დავალება 6 **შეცდომების გასწორება**	წაიკითხეთ ტექსტი და მასში იპოვეთ შეცდომები. თითოეულ შემთხვევაში აღნიშნეთ, თუ რა სახის შეცდომაა დაშვებული (შეცდომების ჩამონათვალი მოცემულია).	10	1	10
დავალება 7 წერა /წერილი	მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერეთ საქმიანი წერილი. გამოიყენეთ მაქს. 180 სიტყვა.	1		6
დავალება 8 წერა/თემა	მოცემულ თემასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია. დაწერეთ 180-230 სიტყვიანი თხზულება.	1		16
ლაპარაკი	უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს.	5		16
ტესტის ჯამური ქულა				**90**

რეკომენდაციები

გთხოვთ, პასუხები ჩაწეროთ (ან შავი ფურცლიდან გადაიტანოთ) პასუხების ფურცელზე. პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 დავალებები დახურული ტიპის დავალებებია, რაც იმას ნიშნავს, რომ კანდიდატმა პასუხების ფურცელზე უნდა მონიშნოს მისი პასუხის ნომრის შესაბამისი გრაფა ან გრაფები. მე-5, მე-7 და მე-8 დავალებები ღია სახის დავალებებია, რაც იმას ნიშნავს, რომ კანდიდატმა მისი პასუხი პასუხების ფურცელში უნდა ჩაწეროს.

ტესტის ხანგრძლივობა (ლაპარაკის ნაწილის გარეშე) არის 4 საათი. ამ დროში შედის პასუხების ფურცელზე პასუხების გადატანის დროც. ლაპარაკის ნაწილისთვის ტესტის ჩამბარებელს დამატებით მიეცემა დაახლოებით 15 წუთი. ლაპარაკის გამოცდა ტარდება ცალკე, ძირითადი ნაწილისგან განსხვავებულ დროს.

ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები ტესტის მოსმენის, კითხვის, წერის და ლაპარაკის დავალებების შინაარსობრივად და ტექნიკურად სწორად შესასრულებლად. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საბოლოო პასუხები გადაგაქვთ პასუხების ფურცელზე. **სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.**

მოსმენის ნაწილი

ტესტის მოსმენის ნაწილი შედგება 2 დავალებისაგან. ორივე დავალება არის დახურული. პირველი დავალების დროს თქვენ ისმენთ შედარებით დიდი მოცულობის ტექსტს და ჩანაწერში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოცემულ 12 შეკითხვაზე სამი შესაძლო პასუხიდან ირჩევთ ერთს. მოსმენის ეს დავალება ამოწმებს როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული ინფორმაციის გაგების უნარს. **მეორე დავალების დროს თქვენ** ისმენთ 4 სხვადასხვა მოსაზრებას ერთიდაიმავე თემის გარშემო. დავალების მოთხოვნაა, რომ მოსაუბრეებს მიუსადაგოთ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები. ორივე მოსმენის დავალება გრძელდება დაახლ. 20 წუთი.

ტექსტებს ისმენთ ორჯერ. მოსმენებს შორის არის პაუზა, რაც მას კონკრეტული დავალების პირობის კიდევ ერთხელ წაკითხვის და პასუხის გადამოწმების საშულებას გაძლევთ. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

- წინასწარ, ჩანაწერის მოსმენამდე, გაეცანით მოცემულ შეკითხვებს/დებულებებს და შესაძლო პასუხებს. ამისთვის სპეციალური დროა გამოყოფილი. პირველივე მოსმენისას მონიშნეთ თქვენთვის მისაღები პასუხი; მეორე მოსმენა პასუხების გადამოწმების და შესაძლო ცვლილებების საშუალებას მოგცემთ.
- ნუ შეშინდებით, თუ ყველაფერს ვერ გაიგებთ. მთავარია მოსმენისას ყურადღება გაამახვილოთ იმ კონკრეტულ საკითხზე ან შეკითხვაზე, რაც ტესტშია მოცემული.
- ეცადეთ მიჰყვეთ ჩანაწერს. მაგ., თუ რომელიმე შეკითხვაზე პასუხი ნამდვილად არ გაქვთ, მასზე უფრო მეტ დროს ნუ დახარჯავთ, ვიდრე ეს თავად ჩანაწერშია მოცემული, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება ამოვარდეთ მოსმენის ტემპიდან და შემდეგ შეკითხვას ვეღარ უპასუხოთ.
- **ტესტის მოსმენის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 16. გამსვლელი ქულაა 6.**

კითხვის ნაწილი

- ტესტში არის კითხვის ოთხი დავალება (დავალებები 3, 4, 5 და 6). მე-5 დავალება კითხვის უნარის გამოყენებით ლექსიკის, კერძოდ დერივატივების (სიტყვათწარმოების), ცოდნას ამოწმებს. მე-6 დავალება, ასევე კითხვის უნარის გამოყენებით, ტექსტში გრამატიკული შეცდომების პოვნის და ამ შეცდომების განსაზღვრის უნარს ამოწმებს.

- ყველა დავალების შემთხვევაში ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. დაფიქრდით, თუ კონკრეტულად რას ითხოვენ თქვენგან; კარგად გაიაზრეთ მოცემული ტექსტების შინაარსი. ეცადეთ გაიგოთ როგორც ტექსტის ძირითადი აზრი, ისე მასში მოცემული ფაქტები და დეტალები. გახსოვდეთ, რომ ყოველი დავალების სწორად შესრულებისათვის აუცილებელია ტექსტის როგორც ვიწრო, ისე ფართო კონტექსტის კარგად გააზრება.

- ყურადღებით იყავით მე-3 დავალების (აბზაცები) პასუხების მონიშვნისას პასუხების ფურცელზე. ეს არის დახურული სახის დავალება; თქვენ პასუხების ფურცელზე მოგიწევთ თითოეული საკითხისთვის ორი პასუხის ამოცნობა: უნდა ამოიცნოთ წინადადება სწორია თუ არასწორია (True /False) და, ამავე დროს, უნდა მონიშნოთ ის აბზაცი (A-F), რომელშიც ეს ინფორმაციაა მოცემული. ამ კრებულში მოცემულ ტესტზე ვარჯიში, გამოცდისას ტესტის ტექნიკურად სწორად შესრულებაში დაგეხმარებათ.

- მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მე- 5 დავალება (სიტყვათწარმოება) არის კითხვის უნარის შესამოწმებელ დავალებებს შორის ერთადერთი ღია დავალება, რაც იმას ნიშნავს, რომ <u>პასუხების ფურცელზე პასუხი უნდა ჩაწეროთ.</u> გაითვალისწინეთ, რომ არასწორად დაწერილი სიტყვა, მართლწერის შეცდომის ჩათვლით, შეცდომად გეთვლებათ.

- გაითვალისწინეთ, რომ მე-6 დავალების (შეცდომების გასწორება) შემთხვევაში იმ გრამატიკული კატეგორიების ჩამონათვალი, რაშიც მოცემულ ტექსტში შეიძლება შეცდომა იყოს დაშვებული, გამოცდაზე გეძლევათ ამობეჭდილი სახით. გრამატიკული შეცდომების ჩამონათვალი (A-J) და შესაბამისი მაგალითები მოცემულია ამ კრებულში (გვ. 26). მასალაზე ვარჯიში გამოცდისას პასუხების ფურცლის ტექნიკურად სწორად შევსებაში დაგეხმარებათ.

- **ტესტის კითხვის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 36. გამსვლელი ქულაა 12.**

წერის ნაწილი

- ტესტში არის წერის ორი დავალება: მე-7 დავალება **(ნებისმიერი სახის საქმიანი წერილი)** და მე-8 დავალება (თემა). წერილის შემთხვევაში მოთხოვნილი სიტყვების რაოდენობაა 150-180, ხოლო თემის შემთხვევაში - 180-230.

- წერის ორივე დავალების შემთხვევაში ყურადღებით გაეცანით დავალების პირობებს. დაფიქრდით იმაზე, თუ კონკრეტულად რას ითხოვენ თქვენგან, რა არის დავალების პირობა და ფაქტობრივი მოცემულობა. სანამ დავალების წერას დაიწყებთ, გაიხსენეთ და ჩამოწერეთ ამ კონკრეტულ დავალებასთან დაკავშირებული ფაქტები და არგუმენტები.

- წერისას ეცადეთ წეროთ არგუმენტირებულად, მოიშველიეთ მაგალითები და ფაქტები; ეცადეთ, რომ გამოიყენოთ მოთხოვნის შესაბამისი (B2) ლექსიკა და გრამატიკული სტრუქტურები. ეცადეთ, თქვენ მიერ გამოყენებული ლექსიკა და გრამატიკა იყოს მრავალფეროვანი. გახსოვდეთ, შეფასებისას ამ ფაქტორს დიდი ყურადღება ექცევა. ნაწერი თქვენი ინდივიდუალური აზრის გამომხატველი უნდა იყოს და არა ზოგადი და ნებისმიერ დავალებას მისადაგებული. **ნაწერი, რომელშიც არ ჩანს კონკრეტიკა და რომელშიც ბევრი ზოგადი და დაზეპირებული ფრაზა და წინადადებაა (რომელიც ნებისმიერ სხვა სახის დავალებას შეიძლება მიესადაგოს), ფასდება ძალიან დაბალი ქულით, ან 0- ით.**

- **წერისას დაიცავით სათანადო ფორმატი (შესავალი, დასკვნა, აბზაცირება და წერილისთვის ან თემისთვის დამახასიათებელი სხვა ფორმალური მახასიათებლები).**

- ეცადეთ დაიცვათ სიტყვების რაოდენობის მოთხოვნები. გახსოვდეთ, რომ ენობრივ კომპეტენციასთან ერთად მოწმდება თქვენი უნარი გამოხატოთ პოზიცია მოცემული თემის გარშემო მოთხოვნილი სიტყვების რაოდენობის ფარგლებში. ნორმაზე მეტი ნაწერის შემთხვევაში იზრდება შეცდომების დაშვების ალბათობა, რაც, ბუნებრივია, მოქმედებს საბოლოო შეფასებაზე.

- გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არტიკლები, წინდებულები და სხვა ე.წ 'პატარა' სიტყვები ცალკე სიტყვებად ითვლება.

- ნურსად მიუთითებთ თქვენ ან სხვის სახელს და გვარს. ასეთი ნაწერი არ გასწორდება.

- **ტესტის წერის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 22. გამსვლელი ქულაა 8.**

წერილი (დავალება 7) ფასდება ერთიანი (ჰოლისტური) შეფასების სქემით. თემის შეფასებისას კი გამოიყენება 4-კრიტერიუმიანი შეფასების სქემა. ეს კრიტერიუმებია:

- დავალებასთან შესაბამისობა
- ლოგიკურ-სტრუქტურული თანმიმდევრობა
- ლექსიკური მარაგი
- გრამატიკული მრავალფეროვნება და სისწორე

წერილის და თემის შეფასების სქემები იხ. გვ. 23-24.

ლაპარაკის ნაწილი

შინაარსობრივი მხარე

ტესტის ლაპარაკის ნაწილი შედგება 3 ნაწილისაგან.

ნაწილი 1: კითხვებზე პასუხი
მოცემულია ორი შეკითხვა ნაცნობი თემატიკის ირგვლივ. შეკითხვებს უნდა უპასუხოთ თანმიმდევრობით - ჯერ ერთს, შემდეგ მეორეს. თითოეულ კითხვაზე საპასუხოდ გამოყოფილია 30 წამი.

ნაწილი 2: სიტუაციის აღწერა
მოცემულია ერთი სიტუაცია და 3 ან 4 დამხმარე შეკითხვა. უნდა აღწეროთ სიტუაცია ან გაიხსენოთ მოვლენა და შესაბამისად განავითაროთ თემა. პასუხის მოსაფიქრებლად გამოყოფილია 1 წუთი, პასუხისთვის კი - 2 წუთი.

ნაწილი 3: არგუმენტირებული მსჯელობა
გეძლევათ ორი „პრობლემური“ სიტუაცია, სადაც ერთ კითხვაზე ორი მოსაზრებაა გამოთქმული. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მოსაზრება, გადმოსცეთ თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ და გაამყაროთ იგი მაგალითებითა და არგუმენტებით. პასუხის მოსაფიქრებლად გამოყოფილია 30 წამი. თითოეული პასუხისთვის გამოყოფილია 1 წუთი.

ტექნიკური მხარე

- საგამოცდო ტესტის ლაპარაკის ნაწილი ტარდება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. თქვენ მუშაობთ ინდივიდუალურად, პერსონალურ კომპიუტერებთან. დავალებების მოთხოვნები გამოტანილია კომპიუტერის ეკრანზე. იგივე ტექსტი გესმით ყურსასმენების საშუალებით. ამგვარად, გეძლევათ საშუალება, რომ დავალებების მოთხოვნები ერთდროულად მოისმინოთ და წაიკითხოთ კიდეც.

- ყოველი დავალების შესასრულებლად გამოყოფილია გარკვეული დრო, რომლის გაკონტროლება შეგიძლიათ კომპიუტერის ეკრანზე გამოტანილი წამზომის საშუალებით. სალაპარაკო დროის გაკონტროლების საშუალებას იძლევა ასევე სპეციალური **ხმოვანი სიგნალი**, რომელიც კანდიდატს მიანიშნებს იმაზე, თუ როდის უნდა დაიწყოს და დაასრულოს მან მოცემულ საკითხზე ლაპარაკი.

- აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ილაპარაკოთ **ხმამაღლა და გარკვევით**, რომ ჩანაწერის ცუდმა ხარისხმა არ იმოქმედოს შეფასებაზე. მაქსიმალურად გამოიყენეთ ლაპარაკისთვის მოცემული დრო. დაიწყეთ ლაპარაკი შესაბამისი ხმოვანი სიგნალის შემდეგ. გახსოვდეთ, რომ კონკრეტული დავალებისთვის გამოყოფილი დროის არასრული გამოყენება ან დიდი პაუზებით საუბარი ვერ მოგვცემს თქვენი ლაპარაკის უნარის სათანადოდ შეფასების საშუალებას.

- **ტესტის ლაპარაკის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 16. გამსვლელი ქულაა 6.**

ტესტის ლაპარაკის ნაწილი გრძელდება 14-15 წუთი. აუდიოჩანაწერები მზადდება ენის მატარებლების მიერ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

ტესტის ლაპარაკის ნაწილის სტრუქტურა გრაფიკულად ასე აისახება

ნაწილი	დავალება	საკითხების რაოდენობა	მიზანი / რას ამოწმებს
შესავალი	–	–	ტესტის ფორმატის გაცნობა; ჩანაწერის ხმის, წარმოთქმისა და ა.შ. გათავისება.
1	უპასუხეთ შეკითხვებს.	2	ნაცნობ, ყოველდღიურ თემებსა და პიროვნულ გამოცდილებაზე აგებულ შეკითხვებზე თანმიმდევრული პასუხის გაცემის უნარი.
2	აღწერეთ სიტუაცია; განავრცეთ თემა.	1	სიტუაციის აღწერის და/ან ახსნის უნარი; მოცემულ თემასთან დაკავშირებით საკუთარ გამოცდილებაზე ლაპარაკის უნარი.
3	იმსჯელეთ არგუმენტირებულად.	2	საკუთარი აზრის და საკითხის მიმართ დამოკიდებულების გადმოცემის და არგუმენტაციის უნარი.

ტესტის ლაპარაკის ნაწილი ფასდება სპეციალური შეფასების სქემით, რომელიც ოთხი კრიტერიუმისაგან შედგება. ესენია:

- გაბმულობა; შესაბამისობა დავალებასთან
- ლექსიკური მარაგი
- გრამატიკული მრავალფეროვნება და სისწორე
- წარმოთქმა

ლაპარაკის ნაწილის დეტალური შეფასების სქემა იხ. გვ. 25.

მინიმალური ზღვრები და გამსვლელი ქულები

იმისათვის, რომ ტესტი ჩაბარებულად ჩაითვალოს, კანდიდატმა უნდა გადალახოს მინიმალური ზღვრები (შიდა ბარიერები) ოთხივე ენობრივ უნარში.

ტესტის ნაწილების მინიმალური ზღვრებია:

მოსმენა:	6 ქულა (16 მაქსიმალურიდან)	დავალება 1, 2
კითხვა:	12 ქულა (36 მაქსიმალურიდან)	დავალება 3, 4, 5, 6
წერა:	8 ქულა (22 მაქსიმალურიდან)	დავალება 7, 8
ლაპარაკი:	6 ქულა (16 მაქსიმალურიდან)	-

მაქსიმალური და გამსვლელი ქულები ტესტის თითოეული ნაწილისთვის გრაფიკულად ასე აისახება:

	მაქსიმალური ქულა	**გამსვლელი ქულა**
მთლიანი ტესტი	**90**	**55 da meti**
მოსმენის ნაწილი	16	6 და მეტი
კითხვის ნაწილი	36	12 და მეტი
წერის ნაწილი	22	8 და მეტი
ლაპარაკის ნაწილი	16	6 და მეტი

საგამოცდო ტესტის ნიმუში

ინგლისური ენა

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

TASK 1: LISTENING ***(12 points)***

You will hear a part of a radio programme about tourist sites and travel. For questions 1-12, choose the best answer A, B or C.

You now have forty-five seconds to look at the task. You will hear the recording twice.

1. What is the name of the weekly programme?
   A. Weekly Diary
   B. Traveller's Guide
   C. Traveller's Diary

2. Helen first went to Scotland
   A. two years ago.
   B. last year.
   C. three years ago.

3. Helen's visit to Scotland lasted
   A. more than two weeks.
   B. two weeks.
   C. less than two weeks.

4. People from Glasgow and Edinburgh are
   A. the same.
   B. different.
   C. hard to understand.

5. Edinburgh carries its UNESCO title because of the number of
   A. film stars.
   B. inventors.
   C. writers.

6. Helen says the biggest benefit of the country is its
   A. low population.
   B. rich economy.
   C. beautiful scenery.

7. Helen's favourite place in Scotland is Edinburgh because
   A. it has unique history.
   B. it has individual character.
   C. it has various tourist sites.

8. Which tourist site does Helen remember best from her visit to Scotland?
   A. A castle
   B. A lake
   C. An island

9. What is the weather like in Scotland?
   A. It's always stormy.
   B. It's always rainy.
   C. It's unpredictable.

10. Helen thinks that Scotland and England
    A. are quite different.
    B. are quite similar.
    C. bear some resemblance.

11. The Museum of Scotland keeps the information about
    A. how Scotland and England became one land.
    B. how Scotland and England separated.
    C. Scotland's history and weather.

12. Helen says that English is
    A. the only language in Scotland.
    B. as popular as Gaelic.
    C. spoken by most people in Scotland.

Task 2: LISTENING *(4 points)*

You will hear four people talking about different things they need while travelling. For questions 1-4 choose from the list A-F what each speaker needs most while travelling.
Use each letter only once. There are two extra letters which you do not need to use.

You now have thirty seconds to look through the task. You will hear the recording twice.

Which speaker mentions the object which

A. is useful from a professional viewpoint?

B. is a good thing on a rainy day?

C. is convenient to carry?

D. can be used in different occasions?

E. is a good thing to enjoy yourself?

F. helps the person not to stay hungry?

TASK 3: READING *(10 points)*

Read the text. Then read the statements which follow (1-10) and decide whether they are True or False. If the sentence is true, mark the appropriate box (A-F) in the TRUE section of the answer sheet. If the sentence is wrong, mark the appropriate box (A-F) in the FALSE section of the answer sheet. For each statement mark only one box.

Ancient chairs

A. Chairs have been used since ancient times. A chair is usually a movable piece of furniture designed for the use of one person and consisting of a seat, legs, a backrest and sometimes arms. For hundreds of years chairs were used only by royalty, nobility, the priesthood and the wealthy classes. Chairs did not become a common article of furniture until the sixteenth century. The earliest known chairs are Egyptian. They were usually low and sometimes fitted with curved backs. Representations of various kinds of Egyptian chairs are painted and carved on the walls of tombs. In Babylonia chairs were made of palm wood, which was strong, light and soft.

B. Greek chairs were made of bentwood - wood that is bent and not cut into shape - and frequently had sloping backs. The cathedra, a portable Greek and Roman chair originally used only by women, gave its name to a type of chair used by philosophers to do their lectures. In early Christian times the term cathedra was applied to the bishop's chair, and later the churches in which this chair stood came to be known as cathedrals.

C. The chairs used by officials and nobles in Rome were known as sellae, which were initially used only by royalty. During the Imperial Period, sellae was a seat for the emperors, and during their absence from Rome it was occupied by their statues. The chairs used in Roman homes as well as in amphitheatres were named sedilia. In medieval times sedilia designed for the use of high rank clergy were generally enriched with carvings, paintings and gilding.

D. A famous chair from early medieval times is the so-called throne of Dagobert I. It was made of cast bronze with legs in the form of animal heads and feet and dates back to the early 7th century. It is exhibited at the Louvre in Paris. Another example is the oldest chair found in England: the elaborate Gothic oak chair. It was made in the 13th century and has been used since then at Westminster Abbey in London for the coronation of Edward I and most of the succeeding English kings and queens.

E. The earliest chairs for ordinary use in England were low and had heavy, carved backs. At the beginning of the 17th century, English chairs were made taller and lighter, and the carving was on the frame. The English chair of the late 17th century had spiral turnings and seats. In the 18th century several notable English cabinetmakers greatly modified the typical English chair. The first and most famous of these cabinetmakers was Thomas Chippendale, who replaced the solid backpiece of the chair with an artistically carved one.

F. The first chairs made in the American colonies were of oak or pine and were modelled after the chairs of England, Holland, Sweden, and Germany. In time, variations of these models appeared. In general, colonial chairs followed the changing styles of chairs in England. The Windsor chair, a strong rail-back chair made of oak, ash, and patterned after English models, was

popular in colonial days in America. An important American chairmaker in the first half of the 19th century was Duncan Phyfe of New York City. He became known as one of America's leading cabinetmakers by selling furniture at relatively low prices.

1. Chairs called *sedilia* were used not only in amphitheatres.
2. Designs of the first American chairs were different from European designs.
3. Chairs became a usual piece of furniture from the 16th century.
4. One of the American chairmakers was famous for selling very expensive chairs.
5. The word 'cathedral' is associated with the name of the bishop's chair.
6. No changes were made to a typical English chair throughout the 17th - 18th centuries.
7. Palm wood was used for making chairs because of its specific qualities.
8. The oak chair used for coronation purposes in England has survived to the present.
9. At the beginning, not everybody could use chairs.
10. In the USA every style of chair was original, not copied from other countries.

TASK 4: READING ***(6 points)***

You are going to read a newspaper article about a famous photographer. Six sentences have been removed from the article. Choose from the sentences (A-H) the one which best fits each gap (1-6). There are two extra sentences which you do not need to use.

A famous photographer

Robert Capa is a name that has for many years been synonymous with war photography. Born in Hungary in 1913, Capa was forced to leave his native country after his involvement in anti-government protests. He went to Germany and managed to get a job as a photographer in Berlin. ……. (1). He tried to work there as a freelance journalist.

In 1936, after the breakout of the Spanish Civil War, Capa went to Spain. ……. (2). It was here that he took one of his most famous pictures, *The Death of a Loyalist Soldier*. When World War II broke out, Capa was in New York. ……. (3). Some of his most famous works were created on the 6th June, 1944, the day the Allies landed in France. In the first hour Capa took more than one hundred photographs. But by mistake all but eight photos were destroyed. It was these photos that inspired the visual style of Steven Spielberg's Oscar-winning movie *Saving Private Ryan*.

……. (4). In 1943 he fell in love with the wife of actor John Austin. His affair with her became the subject of his war memoirs. Capa made a promise to himself never to depict war again but when he was offered a job in Indochina he did not refuse. ……. (5). On May 25th, 1954, Capa stepped on a land mine. He was taken to a nearby hospital, still clutching his camera. He died soon after his arrival in the hospital. ……. (6). In 1966, his brother Cornell founded The International Fund in his honour. There is also a Robert Capa Gold Medal, which is given to a photographer who publishes the best photographic reporting from abroad and who shows exceptional courage.

A. It was in Spain that he built his reputation as a war photographer.

B. After his death, Capa left behind a standard for photojournalism that very few could reach.

C. In Hungary, Capa was a recognised writer.

D. But, he was soon back in Europe covering the war for *Life* magazine.

E. Later he left Germany and moved to France due to the rise of Nazism.

F. Capa was the photographer of a Spielberg film.

G. Capa's private life was no less dramatic.

H. He went to Indochina to cover the First Indochina War.

TASK 5: READING / LANGUAGE IN USE ***(10 points)***

Read the text below. Use the words given in brackets to form a word that fits into the space.

Business goes green

Many cities around the world today are ……. (1. HEAVY) polluted. Careless manufacturing processes employed by some industries and a lack of consumer demand for …… (2. ENVIRONMENT) safe products have contributed to the …… (3. POLLUTE) problem. One result is that millions of tons of glass, paper, plastic and metal containers are produced, and it's very difficult to get rid of them. However, today, more and more …… (4. CONSUME) are choosing 'green' products, which means that the products they buy are safe for the environment. A recent survey showed that two out of five adults now consider the environmental …… (5. SAFE) of a product before they buy it. This means that companies must now change the way they make and sell their products to make sure that they are 'green', that is, ……
(6. FRIEND) to the environment. Only a few years ago, it was …… (7. POSSIBLE) to find 'green' products in supermarkets, but now there are hundreds. Some supermarket products carry labels to show that the product is 'green'. Some companies have made the manufacture of clean and safe products their main selling point and emphasize it in their …… (8. ADVERTISE). No longer will the public accept the old attitude of 'buy it, use it, throw away, and forget it'. Public …… (9. PRESS) is on and businesses are ……. (10. GRADUAL) starting to follow environmental regulations more strictly.

TASK 6: READING/CORRECTION OF MISTAKES *(10 points)*

Read each line (1-10) of the text carefully and, if you find a mistake in it, in the answer sheet mark the type of the mistake A-I. If the line has no mistake, mark the letter J. There may be only one mistake in the line.

Refer to the list of the types of the mistakes.

	Hi Bob,
	Sorry I haven't written to you for so long. I have been very busy lately. Last
1	month I was busy with my exams, and I had no time for anything else. I
2	have stopped studying now and I'm waiting to my exam results. Expectations
3	are high. As soon as I have the exam results, I'll know exact which profession to
4	follow. As you can see from the letter, I've changed my address and I live in
5	Oxford now. I was decided that I wanted to move from central London
6	because it has become such an expensive city. Now I live in the very nice flat,
7	which was recommended to me by my friend Alex, who lives in Oxford too. I
8	have to admit that if I don't have a friend here, I wouldn't be living in such a nice
9	flat. I am here until mid-August. Then I'm going on holiday to Scotland. I'm
10	looking forward to spend some time there. I've never been to Scotland, you know.
	All the best, Sal

TASK 7: WRITING *(6 points)*

You started to attend English classes in the Language Centre 'English for All' two weeks ago. You have paid a one-month fee in advance. Now you realise that the quality of teaching there is not as good as it was promised in the online advert of this Centre.

Write an email to the director of the Centre. Mention

- what your expectations about the Language Centre were.
- what you don't like about the Centre.
- what you are asking for.

You should write between between 150-180 words.

Do not write your or anybody else's name or surname in the email.

TASK 8: WRITING *(16 points)*

Some people think that teachers should be observed at least three times a year by their colleagues. Others disagree with this idea. Which idea do you agree with and why? Give specific reasons to support your answer.

You should write between 180-230 words.

ლაპარაკის დავალების ნიმუში
Speaking test sample

Introduction

Part one

Listen to two questions and respond to them. You have half a minute to answer each question.

Question One: Which TV programme do you mostly watch and why?

Question Two: Which is your favourite time of the year and why?

Part two

Describe the first day in school when you started to work as a teacher.

You should say:

- **When it was.**
- **What you remember most from that day.**
- **How memorable you think the day was and why.**
- **Add any other information you think is appropriate.**

You have one minute to think about what you are going to say.
You have two minutes for your answer.
You can make some notes to help you if you wish.

Part three

Listen to two situations and respond to the questions given in them. For each question you have half a minute to think about what you are going to say and - one minute for your answer.

Situation One: Next year your brother is finishing school. He must choose between becoming a historian or a painter. Which one would you advise him to be and why? Use arguments in your response.

****

Situation Two: It is Sunday evening and you have to choose between going to your friend's house or to the cinema. Where would you go and why? Use arguments in your response.

შეფასების სქემა წერილისთვის (მე-7 დავალება)

მაქსიმალური ქულა – 6. მოთხოვნილი დონე B2.

ქულა	აღწერა
6	ნაწერი **ძალიან კარგია**. ამომწურავად პასუხობს დავალების მოთხოვნებს. გამოყენებულია მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები და მდიდარი ლექსიკა; სრულად არის დაცული წერილის **ფორმატი** და ოფიციალური ენის **სტილი**. შეცდომები არ არის, ან მინიმალურია. არგუმენტირება ძალიან კარგია.
5	ნაწერი **კარგია.** პასუხობს დავალების მოთხოვნებს. გამოყენებულია კარგი გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; ძირითადად დაცულია წერილის **ფორმატი** და ოფიციალური ენის **სტილი.** შეცდომები უმნიშვნელოა. არგუმენტირება კარგია.
4	ნაწერი **საშუალო დონისაა**. ძირითადად პასუხობს დავალების მოთხოვნებს, თუმცა ერთ-ერთი პასუხი არასრული ან მოკლეა. გამოყენებულია საშუალო სირთულის გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; წერილის **ფორმატი** და ოფიციალური ენის **სტილი** თანმიმდევრული არ არის; შეცდომები ცოტაა. ან: <u>გაცემულია პასუხი მხოლოდ ერთ შეკითხვაზე.</u>
3	ნაწერი **საშუალოზე დაბალი დონისაა.** დავალების მოთხოვნებს ზოგ შემთხვევაში არ პასუხობს (მოცემულია არასრული და/ან ზედმეტი ინფორმაცია). გამოყენებულია მარტივი გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; წერილის ფორმატი და ოფიციალური ენის სტილი, ზოგ შემთხვევაში, არ არის დაცული; შეცდომები თვალშისაცემია. ან: ხშირია ზოგადი ფრაზები. არგუმენტირება სუსტია.
2	ნაწერი **სუსტია**. დავალების მოთხოვნებს, უმეტესწილად, არ პასუხობს (მოცემულია ძალიან მწირი და/ან ბევრი ზედმეტი ინფორმაცია). გრამატიკა და ლექსიკა მეტად მარტივი და ერთფეროვანია; ლოგიკურ-სტრუქტურული მაკავშირებლები არ არის. წერილის ფორმატი და ოფიციალური ენის სტილი, უმეტესწილად, არ არის დაცული; შეცდომები ხშირია, მათ შორის <u>არის შეცდომები სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ გრამატიკულ კატეგორიებში.</u> ან: ენობრივად კარგია, მაგრამ დავალების მოთხოვნებს, უმეტესწილად, არ პასუხობს. ან: წერილის ძირითადი ნაწილი არის ზოგადი, დაზეპირებული ტექსტი, კონკრეტიკის გარეშე. დავალების მოთხოვნა ნახსენებია ფრაგმენტულად.
1	ნაწერი **ძალიან სუსტია** და/ან დაწერილია მხოლოდ 1-2 წინადადება და/ან შეცდომები დაშვებულია ყოველ წინადადებაში; აზრი ბუნდოვანია. შეცდომებს, მათ შორის <u>სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ ლექსიკურ და გრამატიკულ შეცდომებს, სისტემური ხასიათი აქვს</u>. არ არის დაცული ოფიციალური სტილი. ან: წერილის ძირითადი ნაწილი არის ზოგადი და/ან დაზეპირებული, ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე. ტექსტი შეიძლება წავიდეს ნებისმიერი სახის დავალებაზე. დავალების მოთხოვნა ნახსენებია მხოლოდ ერთხელ, ან საერთოდ არ არის ნახსენები.
0	ნაწერი არ პასუხობს დავალებას ან ფურცელი ცარიელია ან აზრის გაგება შეუძლებელია.

შეფასების სქემა თემისთვის (მე-8 დავალება)

მაქსიმალური ქულა 16. სიტყვების რაოდენობა მინიმუმ 180. მოთხოვნილი დონე B2.

ქულა	შესაბამისობა დავალების მოთხოვნასთან	ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა	ლექსიკური მარაგი	გრამატიკული სიზუსტე და მრავალფეროვნება
4 **ძალიან კარგი**	<u>ნაწერი ძალიან კარგია;</u> დავალების მოთხოვნას პასუხობს სრულად და ამომწურავად. მოცემული არგუმენტები მკაფიო და ამომწურავია.	ნაწერის აგებულება ძალიან კარგია; ლოგიკური და თანმიმდევრულია; მაკავშირებლები სწორადაა გამოყენებული.	ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია; პასუხობს მოთხოვნებს. შეცდომები იშვიათია.	გამოყენებულია რთული და მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.
3 **კარგი**	<u>ნაწერი კარგია;</u> პასუხობს დავალების მოთხოვნას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ინფორმაცია არასრული ან შეუსაბამოა. არგუმენტები მკაფიოა, თუმცა არ არის ამომწურავი.	ნაწერის აგებულება კარგია, თუმცა ზოგ შემთხვევაში არ არის დაცული ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა.	ლექსიკა კარგია, პასუხობს მოთხოვნებს, თუმცა არის სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების რამოდენიმე შემთხვევა.	გამოყენებულია საშუალო სირთულის გრამატიკული სტრუქტურები. დაშვებულია რამდენიმე შეცდომა, მაგრამ აზრი გასაგებია
2 **საშუალო**	<u>ნაწერი საშუალო დონისაა;</u> დავალების მოთხოვნას პასუხობს ნაწილობრივ. ინფორმაცია, უმეტესწილად, არასრული ან ზოგადია. მოცემული არგუმენტი ან არგუმენტები მოკლე, შეუსაბამო და/ან ბუნდოვანია.	ნაწერი, უმეტესწილად, არ არის ლოგიკურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული; წინადადებები ერთმანეთს ცუდად უკავშირდება.	ლექსიკა ერთფეროვანი და ძირითადად მარტივია. ხშირია სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების შემთხვევები.	დაშვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი გრამატიკული შეცდომა, მათ შორის არის შეცდომები <u>სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ გრამატიკულ კატეგორიებში.</u>
1 **საშუალოზე დაბალი**	<u>ნაწერი სუსტი და მეტად ზოგადია;</u> საკითხი მხოლოდ გაკვრით არის განხილული; დებულებები მეორდება; აზრის მიყოლა ჭირს. არგუმენტები არ არის მოცემული ან გაუგებარია.	ნაწერი გაბმულად არ იკითხება; არ არის ლოგიკურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული.	გამოყენებულია უაღრესად მარტივი, შეზღუდული და/ან არაადეკვატური ლექსიკა.	გრამატიკული შეცდომები ხშირია. <u>სკოლის პროგრამით გათვალისწინებული გრამატიკული შეცდომები სისტემურია.</u> გამოყენებულია უაღრესად მარტივი გრამატიკული სტრუქტურები.
0 **ცუდი**	დავალების მოთხოვნას არ პასუხობს. ან დაწერილია ერთი ან ორი წინადადება.	ნაწერი სრულიად ალოგიკურია / არ იკითხება ან მეტისმეტად მარტივია.	სახეზეა მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელი და შეუსაბამო წინადადებები და/ან სიტყვები.	გრამატიკული შეცდომები დაშვებულია თითქმის ყოველ წინადადებაში. ნაწერი არ იკითხება.

შეფასების სქემა ლაპარაკის ნაწილისთვის

მაქსიმალური ქულა 16. მოთხოვნილი დონე B2

ქულა	გაბმულობა; შესაბამისობა დავალებასთან	ლექსიკური მარაგი	გრამატიკული სიზუსტე და მრავალფეროვნება	წარმოთქმა
4 **ძალიან კარგი**	<u>ლაპარაკობს ძალიან კარგად,</u> თავისუფლად და თანმიმდევრულად. დავალებებს პასუხობს სრულად და არგუმენტირებულად. საუბრობს პაუზების გარეშე. დროს იყენებს სრულად.	ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.	იყენებს რთულ და მრავალფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს. შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.	ბგერები სწორია; მახვილი, ინტონაცია და რიტმი - თანმიმდევრული, შეცდომების რაოდენობა მინიმალურია.
3 **კარგი**	<u>ლაპარაკობს კარგად.</u> პასუხები არგუმენტირებულია, თუმცა ზოგ შემთხვევაში დარღვეულია ლოგიკური და/ან სტრუქტურული თანმიმდევრობა. საუბრობს შესამჩნევი პაუზების გარეშე.	ლექსიკა კარგია; პასუხობს მოთხოვნებს; შეცდომების რაოდენობა ბევრი არ არის.	იყენებს საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს; შეცდომების რაოდენობა ბევრი არ არის.	ბგერები, უმეტესწილად, სწორია. მახვილი, ინტონაცია და რიტმი უმეტეს შემთხვევაში,- თანმიმდევრულია.
2 **საშუალო**	<u>ლაპარაკობს საშუალოდ.</u> პასუხი, ზოგ შემთხვევაში, მოკლე, წყვეტილი და/ან არალოგიკურია. არგუმენტები სუსტია. ფრაზებს იმეორებს. დროს სრულად არ იყენებს.	ლექსიკა ერთფეროვანი და უმეტესწილად, მარტივი და/ან განმეორებადია. შეცდომები თვალშისაცემია.	იყენებს, უმეტესწილად, მარტივ გრამატიკულ სტრუქტურებს; სტრუქტურები მეორდება. შეცდომები თვალშისაცემია. უშვებს შეცდომებს <u>სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ გრამატიკულ კატეგორიებში.</u>	ბგერები, მახვილი, და წარმოთქმის სხვა ელემენტები, უმეტესწილად, არ არის სწორი.
1 **საშუალოზე დაბალი**	<u>ლაპარაკობს ცუდად.</u> დაზეპირებული ფრაზებით. პასუხი მოკლე, წყვეტილი ან არალოგიკურია; პასუხები არ არის არგუმენტირებული. დროს სრულად არ იყენებს.	ლექსიკა მეტად ერთფეროვანი, მარტივი და/ან არაადეკვატურია; ლექსიკური შეცდომები ხშირია.	იყენებს მარტივ და/ან ერთფეროვან სტრუქტურებს გრამატიკული შეცდომები ხშირია. <u>სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ გრამატიკულ კატეგორიებში დაშვებული შეცდომები სისტემურია.</u>	წარმოთქმის შეცდომები სისტემურია.
0 **ცუდი**	ლაპარაკობს გაუგებრად ან ლაპარაკობს სხვა თემაზე ან დუმს.	სახეზეა სრულიად შეუსაბამო ლექსიკა. ან: აზრის გაგება შეუძლებელია.	სახეზეა ერთმანეთთან დაუკავშირებელი და დავალებასთან შეუსაბამო სიტყვები.	სწორად არ იყენებს წარმოთქმის არც ერთ ელემენტს.

შეცდომების ტიპების ჩამონათვალი

ინგლისური

	Types of mistakes
A	**Wrong tense:** **არასწორია გრამატიკული დრო.** *I have seen her twice this week -ის ნაცვლად მოცემულია: I saw her twice this week.*
B	**Wrong mood:** **არასწორია კილო.** *If he did this job he would be paid well -ის ნაცვლად მოცემულია: If he does this job, he would be paid well.*
C	**Wrong voice:** **არასწორია გვარი.** *The building was repaired last year -ის ნაცვლად მოცემულია: The building repaired last year.*
D	**Wrong noun-verb agreement. Or any other kind of agreement in person and number: არასწორია შეთანხმება სახელსა და ზმნას შორის ან ნებისმიერი სხვა სახის შეუთანხმებლობა პირსა და რიცხვში.** *Tennis and swimming are his favourite sports -ის ნაცვლად მოცემულია: Tennis and swimming is his favourite sport. ან: These are our children -ის ნაცვლად მოცემულია: This are our children.*
E	**Wrong preposition**: **არასწორია წინდებული.** *I look forward to seeing you -ის ნაცვლად მოცემულია: I look forward for seeing you.*
F	**Wrong article: შეცდომაა არტიკლის გამოყენებაში.** *This is the house we want to buy-ის ნაცვლად მოცემულია: This is a house we want to buy.*
G	**An adjective used instead of an adverb or an adverb used instead of an adjective: ზედსართავი გამოყენებულია ზმნიზედის ნაცვლად ან ზმნიზედა გამოყენებულია ზედსართავის ნაცვლად.** *He is smart enough -ის ნაცვლად მოცემულია: He is smartly enough. ან: He speaks English fluently -ის ნაცვლად: He speaks English fluent.*
H	**Wrong pronoun:** **არასწორია ნაცვალსახელი.** *I met Tina and Nick and wished them a happy marriage -ის ნაცვლად მოცემულია: I met Tina and Nick and wished him a happy marriage.*
I	**Wrong verb form (incorrect use of infinitive, gerund or participle): არასწორია ზმნის ფორმა (შეცდომაა ინფინიტივის, გერუნდივის ან მიმღეობის გამოყენებაში).** *He enjoys watching soap operas -ის ნაცვლად მოცემულია: He enjoys to watch soap operas.*
J	**No mistake**

პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია

<u>დახურული დავალებების შემთხვევაში</u>

პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი.

თქვენ მიერ არჩეული პასუხი აღნიშნეთ X ნიშნით. მაგალითად, თუკი მე-3 საკითხის პასუხად აირჩიეთ B პასუხის ვარიანტი, მაშინ, პასუხების ფურცელზე უნდა მოძებნოთ მე-3 საკითხის დავალების რიგი და ამ რიგში, პასუხის (B) სვეტის შესატყვის უჯრაში დასვათ X ნიშანი. დასაშვებია, რომ X ნიშანი გამოსცდეს თეთრ უჯრას, მაგრამ იგი არ უნდა იყოს უჯრაზე მოკლე.

თითოეული საკითხის შესაბამის რიგში უნდა მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი, ანუ მხოლოდ ერთ უჯრაში დასვით X ნიშანი. თუ რიგში ერთზე მეტ X ნიშანს დასვამთ, ამ საკითხის არც ერთი პასუხი არ ჩაითვლება სწორად.

თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). ელექტრონული პროგრამა არჩეულ პასუხად მხოლოდ X ნიშნიან უჯრას აღიქვამს.

<u>ღია დავალებების შემთხვევაში</u>

პასუხების ფურცელზე, დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ჩაწერეთ თქვენი პასუხი.

შესაძლებელია პასუხის გადასწორება (არასწორი პასუხის გადახაზვა და გვერდზე სწორი პასუხის დაწერა).

თქვენი პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

პასუხების ფურცლის ნიმუში გამოქვეყნდება ცალკე ფაილად.

ტესტის ნიმუშის პასუხები

Task 1 (Listening 1) 1.C 2.A 3.B 4.B 5.C 6.C 7.B 8.B 9.C 10.A 11.A 12. C

Task 2 (Listening 2) 1.C 2.A 3.F 4. D

Task 3 (Reading): 1. True/C 2. False /F 3. True/A 4. False /F 5. True/B 6. False/E 7. True/A 8. True/D 9. True/A 10. False /F

Task 4 (Reading): 1. E 2. A 3. D 4. G 5. H 6. B

Task 5 (Word formation): 1. heavily 2. environmentally 3. pollution 4. consumers 5.safety 6.friendly 7. impossible 8. advertising /advertisements 9. pressure 10. gradually

Task 6 (Correction of mistakes): 1. J 2. E 3. G 4. J 5. C 6. F 7. J 8. B 9. J 10. I